

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანება N:: 141/01-01- ისა და ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანება N:: 142/01-01 საფუძველზე - ბიოლოგიის დეპარტამენტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის, ბიომრავალფეროვნების კათედრის ასისტენტ-პროფესორისა და ბიოქიმიის კათედრის ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №: 70/2024 დადგენილების პუნქტი 1-ის საფუძველზე დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

„19“ ივლისი, 2024 წ.

თსუ XI კორპ. ოთახი #547

15:00 სთ,

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი:

1. დიანა ძიძიგური - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ. (კომისიის თავმჯდომარე);
2. მაკა მურვანიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ. (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მანანა გორდეზიანი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ. (კომისიის მდივანი);
4. ნანული დორეული - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ.;
5. ელენე დავითაშვილი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ..

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის, ბიომრავალფეროვნების კათედრის ასისტენტ-პროფესორისა და ბიოქიმიის კათედრის ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოსმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ დიანა ძიძიგურის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატების საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ

იყო. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ბიოლოგიის დოქტორმა **მაგდა ალანია**

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის ასისტენტ-პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ბიოლოგიის დოქტორმა **მარინე ბოკერია**

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიოქიმიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის ორი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ორმა კანდიდატმა - ბიოლოგიის დოქტორმა **მარინე კოშორიძემ** და ბიოლოგიის დოქტორმა **გიორგი ზურჯანაძემ**

● მაგდა ალანია

აღინიშნა, რომ კონკურსანტ მაგდა ალანიას **განათლება** (1988-1993 წ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი. მინიჭებული კვალიფიკაცია - ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი ; 1993-1995 - სტაჟირება რუსეთის მეცნ. აკადემიის ნ.კ. კოლცოვის სახ. განვითარების ბიოლოგიის ინსტიტუტის შედარებითი ფიზიოლოგიის ლაბორატორია, მოსკოვი. 1995-98 წწ ნ.კ.კოლცოვის სახ. განვითარების ბიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა,

აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი: KT №055328 ნოსტრიფიკაციის მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი: #004487.

სამსახურებრივი გამოცდილება - (1993-2011 წლებში სხვადასხვა დროს იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (2007 წლამდე ბიოლოგიის ფაკულტეტი), ბიოლოგიის ინსტიტუტის, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის მიმართულების (2007 წლამდე და 2016 წლიდან ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა) ლაბორანტი, მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-მკვლევარი საგრანტო პროექტებში, მოწვეული პედაგოგი. 2011 წლიდან-დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორია. 2012-2018 წლებში იყო თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.) **პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი). **შეთავსებით მუშაობა** - სსიპ-ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“.

II კატეგორია - **პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან** - აღინიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება** (2011 წლიდან-დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორია) და საერთო პედაგოგიური

სტაჟი, **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა** - (1. ადამიანის ფიზიოლოგია 2, თსუ-ს moodle-ის პლატფორმაზე (e-learning.tsu.ge); 2. ბიოსოციოლოგია, ელექტრონული კურსი თსუ-ს moodle-ის პლატფორმაზე (e-learning.tsu.ge); 3. ინტეგრაციული ფიზიოლოგია, ელექტრონული კურსი 2020; 4. ზოგადი ბიოლოგია (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ბაკალავრიატი; ინგლისურ ენაზე). სდსუ-ს canvas-ის პლატფორმაზე (<https://sdsu.instructure.com>) ელექტრონული კურსის შექმნა. 2020, 2021, 2023; 5. უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის პრინციპები (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ბაკალავრიატი; ინგლისურ ენაზე) სდსუ-ს canvas-ის პლატფორმაზე (<https://sdsu.instructure.com>) ელექტრონული კურსის შექმნა. 2020, 2021. 6. შესავალი კურსი ფიზიოლოგიაში (მედიცინის ფაკულტეტი; ინგლისურ ენაზე). თსუ-ს moodle-ის პლატფორმაზე (e-learning.tsu.ge) ელექტრონული კურსი; 7. ელექტრონული რესურსი კურსისთვის "გულ-სისხლძარღვთა ფიზიოლოგია" გრანტის ინსტრუმენტები უწყვეტი განათლების განვითარებისთვის ამიერკავკასიის რეგიონში: ელექტრონული სწავლება (ARMAZEG, 2013-2017წ.-ები) ; 8. მულტიდისციპლინარული სახელმძღვანელო „გარემო და ჯანმრთელობა“, ქართულ და ინგლისურ ენებზე (თანაავტორი), თსუ გამომცემლობა, საერთაშორისო გრანტის SENCER ფარგლებში, 2006წ.), **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები** - (2024 - Profformance+ Thematic webinars Sixth session: Internationalisation in Higher Education: Empowering Innovative teaching and learning practices across borders. Online; 2023 - San Diego State University Canvas online training: "Canvas Course Template Orientation for Georgia". Organizer: Brandon Cohen, SDSU Global Campus Senior Instructional Designer. USA. Via zoom platform. San Diego State University (USA); 2023 - Online training: The Training Session from Lecturio - AI-driven medical education platform. Instructor Dr Utku Timurçin; 2021 - Flexible Course Design Institute training in online and hybrid teaching. Organized and conducted by San Diego State University (USA). Online ; 2020 - The Flexible Course Design Summer Institute training in online teaching. Organized and conducted by San Diego State University (USA). Online; 2018 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ერასმუს პლუსის პროექტის "Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia", (No. 585841 EPP-1-2017-1-GE-EPPKA2-CBHE-SP) ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგი "ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება" Local Capacity Building Training/TOT. საქართველო. ქუთაისი; 2016 - სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი სწავლების მეთოდების ასათვისებლად. Short Term Scholar to familiarize with teaching methods and curricula of SDSU. College of Sciences, San Diego State University, San Diego, CA, US), **მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები** ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მაგდა ალანამ მიიღო შეფასება „მაღალი“.**

III კატეგორია-სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა -კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს 8 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 67, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. **ბოლო 6 წლის განმავლობაში** - მონაწილეობა მიიღო 9 სამეცნიერო კონფერენციაში, მისი ციტირების ინდექსია 139/7/11, სამეცნიერო კვლევების სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე .

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი). აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები.

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტის რანგში განხორციელებული აქტივობები (8); 2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის წევრი; 3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კრედიტების აღიარების კომისიის წევრი; 4. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ინგლისურენოვანი ქიმია-ბიოქიმიის საბაკალავრო პროგრამის 3 სტუდენტის კონფერენციაში მონაწილეობისათვის თანახემლძღვანელობა; 5. სკოლის მოსწავლეებისთვის ელექტრონული ოლიმპიადის - მეცნიერების თასი “Science Cup” საორგანიზაციო ჯგუფის წევრი; 6. ტრენინგი: „საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარება-საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები“; 7. Workshop: TAIEX Workshop on Quality Audit, as a mechanism for external quality assurance in Higher Education. Organised by the European Commission's DG Neighbourhood and Enlargement Negotiations within the framework of the TAIEX Instrument and in collaboration of the National Center For Educational Quality. 15-16 December, 2022. Tbilisi, Georgia.

Training: Recognition of education received by refugees – legal framework and procedures. 29-30 August, 2023. National Center For Educational Quality Enhancement. Tbilisi, Georgia; 8. განათლების საერთაშორისო ცენტრში უნგრეთის ტემპუსის საზოგადოებრივი ფონდის ექსპერტების მონაწილეობით ჩატარებულ ვორკშოფი. ვორკშოპი დაეთმო უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თემას, რომლის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შეფასების მექანიზმებზე. 19 ივნისი, 2018, თბილისი.

კონკურსანტს აქვს **კომპიუტერთან მუშაობის უნარები** - სწავლების მართვის ელექტრონული სისტემებში (Learning Management Systems -LMS) მუშაობის გამოცდილება:

- Moodle (თსუ e-learning.tsu.ge)
- Canvas (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო)
- Blackboard (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო)

საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებული ონლაინ ელექტრონული პორტალი - Slido

საგანმანათლებლო ონლაინ რესურსები - Lecturio

საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებული ონლაინ საკომუნიკაციო პროგრამები - Zoom; Microsoft Teams

საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებული ელექტრონული პროგრამები - Microsoft office

პროგრამები - Corel Draw; Photoshop და სხვ.

ფლობს ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს.

დამატებითი ინფორმაცია - არის თსუ-ს/ფაკულტეტის ადმინისტრაციის ბრძანებით შექმნილი სხვადასხვა კომისიებისა და 4 სამეცნიერო ორგანიზაციის წევრი.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და

სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ მაგდა ალანას კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 4 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ბიოლოგიის დოქტორ მაგდა ალანას კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო - მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის, სასწავლო პროცესისა და მეცნიერების ადმინისტრირების გამოცდილების შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, **კათედრა - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია** - ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი

მაგდა ალანია

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

● მარინე კოშორიძე

მარინე კოშორიძის **განათლება** (1975–1980 წწ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, სპეციალობა - ბიოქიმია, კვალიფიკაცია - ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი (დიპლომი Γ-1 N 171370). **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** ბიოლოგიის დოქტორი (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი KΔ № 049685); **სამსახურებრივი გამოცდილება** - 1980–1985 წწ. საქ. მეც. აკადემიის ფარმაკოქიმიის ისტიტუტი, ფარმაკოლოგიის განყოფილება, უფრ. ლაბორანტი; 1985-1988 წწ. თსუ, ბიოლოგიის ფაკულტეტი, ბიოფიზიკის კათედრა, უფრ. ლაბორანტი; 1988–1992 წწ. თსუ, ბიოლოგიის ფაკულტეტის ფიზიკურ-ქიმიური და მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1992–2006 წწ. თსუ, ბიოლოგიის ფაკულტეტის

კანცეროგენეზის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 2010 – წლიდან დღემდე თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიოქიმიის კათედრის მოწვეული პედაგოგი, 2017 წლიდან – დღემდე კი ამავე კათედრის ლაბორანტი და მოწვეული პედაგოგია.) და **პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღნიშნა, რომ კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება** (2085 წლიდან დღემდე თსუ-ში სხვადასხვა დროს ეკავა ლაბორანტის, უმცრ./უფრ.მეც. თანამშრომლის თანამდებობები, 2010 წლიდან ბიოქიმიის კათედრის მოწვეული პედაგოგია) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტს არა აქვს გავლილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები, არ არის ჩართული სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში.

შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით **“საშუალო”** შეფასებას იმსახურებს.

III კატეგორია-სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 13 პუბლიკაცია და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული 5 სტატია, ბოლო 6 წლის განმავლობაში იგი მოხსენებებით წარსდგა 7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობს 1 საგრანტო პროექტის (2024-2027) განხორციელებაში. მისი ციტირების ინდექსია 4/1/2, სამოტივაციო წერილის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი** შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე. შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) - კონკურსანტს გააჩნია კომპიუტერთან მუშაობის უნარები: Ms Office პროგრამები, სამეცნიერო ბაზებსა და პორტალებში მუშაობა, Windows; Zoom, Cisco Webex, Canvas (სწავლების ელექტრონული ბაზები; **ფლობს რუსულ, ინგლისურ და გემანულ ენებს**. კომპიუტერული პროგრამებისა და ენების ცოდნის გარდა სხვა სახის აქტივობები კონკურსანტის ანკეტაში წარმოდგენილი არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტ მარინე კომორიძის საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის “საშუალო”**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ მარინე კომორიძის კანდიდატურა შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიოქიმიის კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში

მონაწილეობას იღებდა კომისიის 4 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ბიოლოგიის დოქტორ მარინე კოშორიძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიოქიმიის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, **კათედრა - ბიოქიმია** - ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი

მარინე კოშორიძე

2.კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

● გიორგი ბურჯანაძე

კონკურსანტ გიორგი ბურჯანაძის **განათლება (2005-2009 წწ** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიის სპეციალობით. **2009-2011 წწ.** თსუ, ბიოლოგიის მაგისტრი (სპეციალობა: ბიოქიმია); **2012-2015წწ.** ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი.

აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ბიოლოგიის დოქტორი (ბიოქიმია), კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი *D #000032 სამსახურებრივი გამოცდილება - 2016 წლიდან დღემდე*- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ბიოქიმიის კათედრა, ასისტენტ პროფესორი; 2011-2016 - თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტი და მედიცინის ფაკულტეტი, მოწვეული პედაგოგი; 2016-2018 ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი; 2015-2022 კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი; 2020-დღემდე საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), მოწვეული პროფესორი) და **პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან -

კონკურსანტის **პედაგოგიური გამოცდილება** (2013 წლიდან დღემდე თსუ-ში სხვადასხვა დროს ეკავა ლაბორანტის, მოწვეული პედაგოგის, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობები), **საერთო პედაგოგიური სტაჟი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები** (2022 - Elsevier

Research Connect, Elsevier Research Connect Georgia; 2022 - ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი, თბილისი, საქართველო; 2021 - Flexible Course Design Summer Institute“, სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის ტექნოლოგიების სერვისების დეპარტამენტი; 2020 - „Flexible Course Design Summer Institute“, სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის ტექნოლოგიების სერვისების დეპარტამენტი; 2020 - Online teaching and learning challenges in medical education“, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ და კლინიკური მედიცინის საგანმანათლებლო ცენტრი, ტაიპეის მუნიციპალური ჰოსპიტალი; 2019 - 2nd International School of Applied Biosciences and Biotechnology“; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; თბილისი, საქართველო; 2019 - SDSU-Georgia” Faculty Development Program, San Diego State University, San Diego, CA, USA; 2019 - “FEBS Workshop on Molecular Life Sciences Education”, FEBS Educational Committee and Ilia State University, Tbilisi, Georgia; 2013 - “Workshop on Molecular Life Sciences Education”, ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოებათა ფედერაცია (FEBS) და საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოება, თბილისი, საქართველო; 2013 - “English for Scientific Purposes (ESP)”, CRDF გლობალი და GRDF, ბაკურიანი, საქართველო; 2011 - “C7-RER-5.013-007 Regional Training Course on Standardization of Techniques for Quality Evaluation of Solanaceous Food Crops”, უნგრეთის ატომური ენერჯების სააგენტო, ბუდაპეშტი, უნგრეთი), **მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია.**

შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით იმსახურებს შეფასებას “მაღალი” .

III კატეგორია-სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა -კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 6 სამეცნიერო პუბლიკაცია, 18 სტატია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში; ბოლო 6 წლის მაძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 3 საერთაშორისო კონფერენციაზე, მონაწილეობდა 2 საგრანტო პროექტის მუშაობაში, მისი ციტირების ინდექსია 122/5/10, **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი** შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე . სამოტივაციო წერილის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი). აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები. გიორგი ბურჯანაძე 2020 წლიდან დღემდე არის თსუ სტუდენტური პროექტების შეფასების კომისიის წევრი; 3 საბაკალავრო ნაშრომის თანახელმძღვანელი; აქვს კომპიუტერთან მუშაობის უნარები: Ms Office პროგრამები, სამეცნიერო ბაზებსა და პორტალებში მუშაობა, Windows; Zoom, Cisco Webex, Canvas (სწავლების ელექტრონული ბაზები); ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები,

გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ გიორგი ბურჯანაძის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიოქიმიის კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 4 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ბიოლოგიის დოქტორ გიორგი ბურჯანაძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიოქიმიის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, **კათედრა - ბიოქიმია** - ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი

გიორგი ბურჯანაძე.

3. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

● მარინე ბოკერია

კონკურსანტის **განათლება** (1978 - 1983 წწ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, სპეციალობა - ბოტანიკა, კვალიფიკაცია - ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი (დიპლომი N UB 25 1973.); **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** ბიოლოგიის დოქტორი (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი დიპლომი N 002534); **სამსახურებრივი გამოცდილება** - (1983 - 1985 წწ ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი, მცენარეთა სისტემატიკის და გეოგრაფიის განყოფილება, პრეპარატორი, ლაბორანტი; 1985 - 1994 - ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი, მცენარეთა სისტემატიკის და გეოგრაფიის განყოფილება, უფროსი ლაბორანტი ; 1994 - 2000 - ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი, მცენარეთა სისტემატიკის და გეოგრაფიის განყოფილება, მეცნიერ თანამშრომელი; 2000 - 2006 - ა.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ბოტანიკის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი; 2006 წ.-

დან დღემდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბუნების მრავალფეროვნებისა და ისტორიის დეპარტამენტი, ბოტანიკური (ჰერბარიუმის) კოლექციების ფონდის კურატორი.; 2006 – 2011წ.წ. თბილისის ფარმაცევტული უნივერსიტეტი :”ინტერფარმი+”, ლექციები სამედიცინო ბიოლოგიაში, ასოცირებული პროფესორი; 2019-2020 წწ. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის მოწვეული პედაგოგი; 2020 წლიდან დღემდე თსუ ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის ასისტენტ-პროფესორი) და პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2019 წლიდან ბიომრავალფეროვნების კათედრის მოწვეული პედაგოგია, 2020 წლიდან დღემდე ამავე კათედრის ასისტენტ პროფესორი) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი), მის მიერ წაკითხული **სასწავლო კურსები (14)**, კონკურსანტის მიერ გავლილი **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები** (Identification of archaeobotanical plant remains. Introduction to the Archaeobotanical database Wiesbaden (Germany) მცენარეული ნაშთების იდენტიფიკაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა. ქ. ვისბადენი (გერმანია); Identification of archaeobotanical plant remains 12107-01 Practical course IPNA. Basel, Switzerland. განამარხებულ მცენარეული ნაშთების იდენტიფიკაცია, ქ. ბაზელი (შვეიცარია) **ვაკანსიის პროფილის შესაბამისა**. წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით **“მაღალ”** შეფასებას იმსახურებს.

III კატეგორია-სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა -კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 1 და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული 33 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მაძილზე მონაწილეობდა 4 საგრანტო პროექტის მუშაობაში, მისი ციტირების ინდექსია 47/2/5, **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი** შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე . სამოტივაცია წერილის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი). აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები, თუმცა ანკეტაში პრეტენდენტ მარინე ბოკერიას ამ კატეგორიაში არცერთი აქტივობა არ აქვს მითითებული.

შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „დაბალი“**.

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში

გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ მარინე ბოკერიას კანდიდატურა შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 4 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი ბიოლოგიის დოქტორ მარინე ბოკერიას კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აკადემიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, **კათედრა - ბიომრავალფეროვნება** - ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი


მარინე ბოკერია.

- 4. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 19.07.2024

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.




/დ. ძიძიგური

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ.



/მ. მურვანიძე /

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ.



/მ. გორდუზიანი /

კომისიის წევრი, პროფ.

/ნ. დორეული /

კომისიის წევრი, ასოც. პროფ.



/ე. დავითაშვილი /